



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/70

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი

08 ივლისი, 2019 წ.

ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი დანართი 1-ის შესაბამისად და სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი განრიგით:

ა) 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი (სააუდიტორიო მეცადინეობები) ბაკალავრიატის, დაწყებითი განათლების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და მედიცინის ერთსაფეხურიან (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიწყოს 2019 წლის 16 სექტემბერს და დასრულდეს 28 დეკემბერს. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 დეკემბრის N06-01/137 დადგენილებით)*

ბ) 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე დაიწყოს 2019 წლის 23 სექტემბერს და დასრულდეს 28 დეკემბერს.

გ) 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა სწავლების ყველა საფეხურზე დასრულდეს 2019 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით;

დ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2019 წლის 30 დეკემბრიდან 2020 წლის 07 იანვრის ჩათვლით;

ე) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 08 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით;

ვ) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 27 იანვრიდან 01 თებერვლის ჩათვლით;

ზ) გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 03-08 თებერვალი;

თ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყო 2020 წლის 10 თებერვალს და დასრულდეს 6 ივნისს; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

თ¹) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაოები სწავლების ყველა საფეხურზე შეჩერდეს 2020 წლის 02 მარტიდან 2020 წლის 16 მარტამდე. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 მარტის N06-01/18 დადგენილებით)*

ი) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 08 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

კ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 29 ივნისიდან 04 ივლისის ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

ლ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2020 წლის 06 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით; *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)* *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N 06-01/36 დადგენილებით)*

მ) 2019-2020 სასწავლო წელს მეცადინეობები ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება); *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

ნ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

1¹. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტებისთვის 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი (სააუდიტორიო მეცადინეობები) დასრულდეს 2019 წლის 22 დეკემბერს, ხოლო ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 23 დეკემბრიდან 2019 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით (დანართი 2-ით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით). *დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 05 დეკემბრის N06-01/137 დადგენილებით.*

1². ბსუ-ს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020 წლის 16 მარტიდან დისტანციური (ელექტრონული) სწავლების ფორმატში გაგრძელებული 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი წარიმართოს სწავლა-სწავლების მეთოდებში ელექტრონული კომპონენტის ჩართვის აუცილებლობიდან გამომდინარე შესაბამის სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ აქტივობებში (ლექცია/სემინარი/ჯგუფში მუშაობა და სხვა) და შეფასების ფორმებში საჭირო ცვლილებების განხორციელების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებები შეთანხმებული (ელექტრონული ფორმით) უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

1³. ბსუ-ს დისტანციურ სასწავლო პროცესში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ბსუ-ს ელექტრონული პორტალი (portal.bsu.edu.ge), ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (spm.bsu.edu.ge) და სასწავლო პლატფორმა Moodle, ხოლო ელექტრონული

სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის - ონლაინ პლატფორმა Zoom. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

14. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მტკიცდება 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომლის მიზანია ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვროს ბსუ-ში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული კომპონენტების გამოყენებით სწავლების სპეციფიკა. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

15. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტები, რომლებსაც 2020 წლის 16 მარტისათვის ჰქონდათ აქტიური სტუდენტის სტატუსი და ვერ მოახერხეს სასწავლო პროცესის ელექტრონული კომპონენტით სარგებლობა (ინტერნეტის/ელექტრონული რესურსების არქონა და სხვა), უფლებამოსილნი არიან არაუგვიანეს შუალედური გამოცდების კვირისა, წარმოადგინონ შესაბამისი განცხადება **2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტის სტატუსის შეჩერების** მოთხოვნით, რაც გულისხმობს მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების გაუქმებას და შესაბამისად, მიღწეული სწავლის შედეგების განულებას (პირებს, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია/გადახდილი ჰქონდათ ან ჩარიცხული იყო მათი სწავლის საფასური (სასწავლო/სამაგისტრო/სოციალური გრანტი ან სახელმწიფო/აჭარის ა.რ. ბიუჯეტიდან დაფინანსება) აღნიშნული **გათვალისწინებული** იქნეს მათი სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგი პერიოდის ადმინისტრაციული რეგისტრაციისას. *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის N06-01/24 დადგენილებით)*

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში

დეკემბერი								იანვარი								თებერვალი								
სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	სასწავლო კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	
							1				1	2	3	4	5								1	2
XII	2	3	4	5	6	7	8		6	7	8	9	10	11	12		3	4	5	6	7	8	9	
XIII	9	10	11	12	13	14	15		13	14	15	16	17	18	19	I	10	11	12	13	14	15	16	
XIV	16	17	18	19	20	21	22		20	21	22	23	24	25	26	II	17	18	19	20	21	22	23	
XV	23	24	25	26	27	28	29		27	28	29	30	31			III	24	25	26	27	28	29		
	30	31																						



- სასწავლო დღე



- გამოცდის დღე



- დასვენების დღე

„განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის
მეორე სასწავლო წლის სტუდენტთა 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის
დასკვნითი გამოცდების განრიგი

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	სასწავლო კურსის წარმმართველი პერსონალი	გამოცდის ჩატარების თარიღი	შენიშვნა
განათლების ფილოსოფია	არჩევითი	გული შერვაშიძე - პროფესორი	23.12.2019	
სწავლებისა და სწავლის პროცესის მართვა	არჩევითი	ნატო შეროზია - ასოცირებული პროფესორი	24.12.2019	
განათლება მრავალფეროვან საზოგადოებაში	არჩევითი	მადონა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი	25.12.2019	
ინგლისური ენა C1.1	არჩევითი	ნინო დონდოლაძე მასწავლებელი	25.12.2019	აბარებს 1 სტუდენტი
ფინანსები განათლებაში	ძირითადი	რამინ ცინარიძე - ასისტენტ პროფესორი	26.12.2019	
განათლების სოციალური საფუძვლები	არჩევითი	მარინე გურგენიძე - ასოცირებული პროფესორი	27.12.2019	